



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 26 მაისი, 2020 წელი

დრო: 15:00 -17:00

შეხვედრის ადგილი: Zoom -ის ფორმატი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
3. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
4. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
6. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
7. ცირა მესხიშვილი - ასოციაცია „ტოლერანტი“
8. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
9. თამარ გაბისონია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი საკითხები:

- ✓ ჯგუფებისა და ქვეჯგუფების შეხვედრების დაგეგმვა

- ✓ პროგრამული მხარდაჭერის განხორციელების საკითხი - შემფასებელი კომისიის
შეხვედრის დაგეგმვა
- ✓ სექტორული შეხვედრების დაგეგმვა ელექტრონულ ფორმატში
- ✓ ჯგუფის კოორდინატორების მიერ პოზიციის დოკუმენტების მომზადების საკითხებზე
შეთანხმება
- ✓ სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ლაშა ტულუშმა. მან მმართველი კომიტეტის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

დღის წესრიგის გათვალისწინებით, განიხილეს ჯგუფის შეხვედრების დაგეგმვისა და ჩატარების საკითხი. ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ყველა სფეროზე, შესაბამისად მნიშვნელოვანია ყველამ მოვახერხოთ ახალ რეალობაზე მორგება და ჩვენი საქმიანობის ეფექტურად გაგრძელება, აღნიშნა საბჭოს თავმჯდომარემ. მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ სამუშაო ჯგუფებმა უკვე გამართეს რამდენიმე სამუშაო შეხვედრა Zoom-ის ფორმატის დახმარებით. შესაბამისად უახლოეს მომავალში აუცილებლად დაიგეგმება სხვა ჯგუფებისა და ქვეჯგუფების შეხვედრებიც.

საკოორდინაციო საბჭომ ჩამოაყალიბა იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა იქნას განხილული სამუშაო ჯგუფების მიერ. ასევე გამოიკვეთა ის საკითხები, რომლებზეც მნიშვნელოვანი იქნება სექტორული შეხვედრების ჩატარება. კორონავირუსის გავლენა ყველა სექტორს შეეხო, შესაბამისად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ როგორია დღეს არსებული მდგომარეობა სხვადასხვა სექტორში და ასევე როგორ მოხდა სამომავლო გეგმების ფორმირება. მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე ისაუბრეს მედიაში მიმდინარე პროცესებზე. ასევე განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში არსებულ გამოწვევებზე. 2020 წელს არჩევნების ჩატარების საკითხზე. პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, მაკა ჯახუამ, ისაუბრა ქართული რადიოს ირგვლივ არსებულ ვითარებაზე და ამ სფეროში არსებულ გამოწვევებზე. შესაბამისად ყველა ამ საკითხზე მნიშვნელოვანია შესაბამისი ჯგუფებისა და ქვეჯგუფების შეხვედრების გამართვა, რომელზეც სიღრმისეულად იქნება განხილული ყველა გამოწვევა. ასევე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები შეიმუშავებენ პოზიციის დოკუმენტებს იმ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომელიც მათ სამუშაო სფეროს განეკუთვნება. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები დაიგეგმება მიმდინარე და მომდევნო კვირაში.

მიმდინარე პროექტის ფარგლებში განხორციელდება პროგრამული მხარდაჭერის ნაწილი. საპროექტო განაცხადების შერჩევის პროცესის ერთი ეტაპი დასრულებულია. შემფასებელი კომისია, მომდევნო კვირაში გამართავს კიდევ ერთ შეხვედრას, რომელზეც საბოლოოდ გადაიხედება ყველა განაცხადი. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება პროგრამული მხარდაჭერის განხორციელება.

შეხვედრაზე, მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის, მურმან მარგველაშვილის ინიციატივით, მართველი კომიტეტის წევრები შეთანხმდნენ, რომ შემუშავდება ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც აისახება საბჭოს ხედვები და შეფასებები კორონა ვირუსის პანდემიის ფონზე შექმნილი ვითარების შესახებ.

ნინო ჩხოზაძის ინიციატივით, სამომავლოდ Zoom-ის ფორმატით ჩატარებული ის შეხვედრები, რომლებზეც კონკრეტული საკითხის ირგვლივ ჯგუფის შეთანხმებული პოზიციის გაჟღერება მოხდება, იქნება საჯარო და პირდაპირი ეთერის საშუალებით გაზიარდება ეროვნული პლატფორმის Facebook-ის გვერდზე.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე